ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2372605

ნომერი: AR1365608

თარიღი : 21.12.2015

გაცემის თარიღი : 13.01.2016

გაცნობის თარიღი : 13.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა არტურ ლაისტი , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მირზიაშვილი პ/ნ 01024025897
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მაისის №ნ/1085 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 21 დეკემბრის #AR1365608 განცხადებით მომართეს მამუკა მირზიაშვილმა, შპს „ორთაჭალის ტურფა“–ს და შპს „T58“–ის დირექტორმა თორნიკე აბულაძემ, ასევე შპს „ევრონიშნული“–ს დირექტორმა მერაბ ბაღათურიამ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2010 წლის 18 მაისის №ნ/1085 ბრძანებაში ცვლილების შეტანა სამშენებლო ობიექტის მესაკუთრის ცვლილებიდან გამომდინარე.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სიიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18/15/2010წ. Nნ/1085 ბრძანებით, ქ. თბილისში, მეგობრობის პარკის დასაწყისში, შპს „ორთაჭალის ტურფა“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის N003/137) გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2010 წლის 19 მაისიდან 2011 წლის 19 იანვრის ჩათვლით. აქტში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ორთაჭალის ტურფა“. მოგვიანებით, სამსახურის ბრძანებებით, რამდენიმეჯერ მოხდა მშენებლობის ვადის გაგრძელება და საბოლოოდ, 06.05.2014წ. №1249609 ბრძანებით, მშენებლობის დასრულების თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 6 მაისი.

ამავე სამსახურის 07.10.2015 წლის №2231064 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 18/15/2010წ. Nნ/1085 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „ორთაჭალის ტურფა“–სთან ერთად დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ევრონიშნული“.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშე¬ნებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მი¬სი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26–ე მე–4 პრიმა მუხლის მე–7 პუნქტის თანახმად, "მშენებარე ობიექტზე საკუთრების უფლების (უფლებების) რეგისტრაციის შემთხვევაში, დამკვეთი (პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი) არის მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე/მოსარგებლე (პირი, რომელზედაც გაიცა მშენებლობის ნებართვა) ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 63–ე მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მამუკა მირზიაშვილის, შპს „ორთაჭალის ტურფა“–ს და შპს „T58“–ის დირექტორის თორნიკე აბულაძის, ასევე შპს „ევრონიშნული“–ს დირექტორის მერაბ ბაღათურიას 2015 წლის 21 დეკემბრის # AR1365608 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მაისის №ნ/1085 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს "ორთაჭალის ტურფასთან" და შპს "ევრონიშნულ“-თან ერთად შპს "T58".

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მაისის №ნ/1085 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge